



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

### შრომის უსაფრთხოების განყოფილების დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ( შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) შრომის უსაფრთხოების განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
2. განყოფილება კომპეტეციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე. ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

#### მუხლი 2. განყოფილების მიზანები

3. განყოფილების მიზანია სასწავლო უნივერსიტეტში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული აქტივობების/ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა.

#### მუხლი 3. განყოფილების სტრუქტურა და პერსონალი

1. განყოფილებაში სტრუქტურით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსის, შრომის უსაფრთხოების მთავარი სპეციალისტისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციას.
3. განყოფილების პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება შრომის კანონმდებლობისა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.

#### მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი

##### 1. შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს განყოფილების მიერ საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ბ) პასუხისმგებელია განყოფილების მუშაობის ეფექტურობაზე და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, სამუშაო პროცესში ხარვეზების არსებობის/შეფერხების პრევენციის მიზნით პერიოდულად ატარებს სამუშაო შეხვედრებს და ისმენს განყოფილების პერსონალის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
- გ) ავლენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, ადგენს დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;
- დ) ავლენს საფრთხეებს და რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, ახდენს რისკების შედეგების შეფასებას;
- ე) ადგენს საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;
- ვ) ახდენს სამუშაოთა უსაფრთხო შესრულების კონტროლს: (უსაფრთხოების წესების დაცვის შესაბამისად მუშაობა, ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა, ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამართულობაზე კონტროლი; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამართულად და სწორად გამოყენების კონტროლი, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის კონტროლი და ა.შ.)
- ზ) ახდენს ინსტრუქტაჟების დროულ ჩატარებას, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლებების ჩატარების კონტროლს;
- თ) ახდენს უბედური შემთხვევის მოკვლევისა და საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზების დადგენის მიზნით ღონისძიებათა გატარებას.
- ი) ახდენს განყოფილების ხელმძღვანელზე მიწერილობის გაცემას შრომის უსაფრთხოების წესების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების, მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად.
- კ) სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ობიექტებზე სამუშაოების წარმოების შეწყვეტას, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას.
- ლ) მომსახურე პერსონალის სპეც. ტანსაცმლით (საჭიროების შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დროულ მომარაგებაზე კონტროლს.
- მ) შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამის კომისიებში, ტრენინგებში, სწავლებებში და ა.შ. მონაწილეობის მიღება.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნ) ახდენს სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება სამუშაოზე არ დაშვებას და ზედამხედველობას უწევს აღნიშნულ პროცესს.

ო) ადგენს აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო სივრცეში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

### მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების მთავარი სპეციალისტის ფუნქცია/მოვალეობები

#### 1. შრომის უსაფრთხოების მთავარი სპეციალისტი:

ა) მონაწილეობს პროფესიული რისკებისა და მავნე საწარმოო ფაქტორების, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და ახდენს გავლენას დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათი გამოვლენისა და მათგან თავის დაცვის მექანიზმების შემუშავების პროცესში;

ბ) მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო გეგმების და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღები ზომების, აგრეთვე იმ ღონისძიებებისა და პროცედურების, შემუშავების პროცესში;

გ) მონაწილეობს სამუშაოთა უსაფრთხო შესრულების კონტროლის პროცესში: (უსაფრთხოების წესების დაცვის შესაბამისად მუშაობა, ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა, ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამართულობაზე კონტროლი; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამართულად და სწორად გამოყენების კონტროლი, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის კონტროლი და ა.შ)

დ) მონაწილეობს ინსტრუქტაჟების დროული ჩატარების, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლებების ჩატარების პროცესში;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან დარღვევების იგნორირების შემთხვევაში ახდენს განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმირებას;

ვ) მონაწილეობს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირების სასწავლო უნივერსიტეტში არ დაშვების პროცესში.

ზ) ასრულებს განყოფილების უფროსისა და სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელის დავალებებს.

### მუხლი 6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

#### 1. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ა) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი განყოფილების პერსონალთან ერთად მონაწილეობს პროფესიული რისკებისა და მავნე საწარმოო ფაქტორების გამოვლენისა და მათგან თავის დაცვის მექანიზმების შემუშავების პროცესში;
- ბ) მონაწილეობს საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო გეგმების შემუშავების პროცესში;
- გ) მონაწილეობს სამუშაო უსაფრთხო შესრულების ინსტრუქტაჟების ჩატარების, სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლებების ჩატარების პროცესში;
- დ) აწვდის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ განყოფილების უფროსს;
- ე) უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან დარღვევების იგნორირების შემთხვევაში ახდენს განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმირებას;
- ვ) ასრულებს განყოფილების უფროსისა და სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელის დავალებებს.

### **მუხლი 7. სხვა უფლება-მოვალეობანი**

#### **1. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია:**

- ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- ბ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებასა და საქმიან რეპუტაციას;
- გ) იზრუნოს დოკუმენტაციაზე (არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება);
- დ) დაიცვას მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ე) დროულად მიაწოდოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან სტრუქტურულ ერთეულებს მითხოვნილი ინფორმაცია;
- ვ) სწორად და კვალიფიციურად გასცეს კონსულტაცია;
- ზ) ჩაერთოს თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ორგანიზაციულ ღონისძიებებში;
- თ) შექმნას პოზიტიური გარემო, დაიცვას ეთიკის, კოლეგიალობისა და სუბორდინაციის პრინციპები;
- ი) იზრუნოს ყოველდღიურ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის აქტივობებზე;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კ) საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს დებულებით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში ანგარიშები/ სამოქმედო გეგმა;

ლ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

მ) ითანამშრომლოს და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებისას.

ნ) მონაწილეობა მიიღოს სამსახურეობრივი რისკების იდენტიფიცირებაში და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებისას ითანამშრომლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, როგორც გადაწყვეტი როლის მქონე საკვანძო ერთეულმა სასწავლო უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში.

ო) პასუხისმგებელია დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე კანონმდებლობის დაცვით.

### **მუხლი 8. დებულებაში ცვლილებება/ დამატებების შეტანის წესი**

1.დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

2.დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.